საქართველოს თავდაცვის სამინისტრო

საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია

თბილისი
2014

სარჩევი

შესავალი 1
1. ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტი 2
- საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია 2
- რეგიონული არასტაბილურობა 2
- ტრანსნაციონალური საფრთხეები 2
- კიბერ საფრთხეები 3
- ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები 3

2. ეროვნული თავდაცვის პოლიტიკა და პრინციპები 4
- დემოკრატიული კონტროლი 4
- არაკონფრონტაციულობა 4
- გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება 4
- ადამიანურ კაპიტალზე ორიენტირებული მართვა 4
- თავდაცვის რესურსების ეკონომიურობა 4

3. სამხედრო მიზნები, ამოცანები და შესაძლებლობები 5
4. შეკავების და თავდაცვის უზრუნველყოფა 6
4.1. თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება 6
4.1.1. ძალთა მზადყოფნა 6
- მართვა და კონტროლი 7
- ინსტიტუციური მშენებლობა 7
- საბრძოლო შესაძლებლობები 8
- საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობები 8
- საბრძოლო უზრუნველყოფის შესაძლებლობები 8
- სპეციალური ოპერაციები 9
- რეზერვისა და მობილიზაციის სისტემა 9
- ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება 9

5. რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა 10
5.1. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და მრავალეროვნულ ფორმატში თანამშრომლობა 10
5.1.1. ნატოსთან თავსებადობა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა 10
5.1.2. საერთაშორისო, რეგიონული და ორმხრივი თანამშრომლობა 11

6. ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს 12
6.1. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის მხარდაჭერა 12
6.1.1. უწყებათაშორისი კოორდინაცია და თანამშრომლობა 12

დასკვნა 13
დანართი 1 14

შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს 2005 წელს გამოცემული ეროვნული სამხედრო სტრატეგიის განახლებულ ვარიანტს. „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია" ასახავს შეიარაღებული ძალების წინაშე არსებულ ახალ რეალობებს და უსაფრთხოების სფეროში თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონის დოკუმენტებით განსაზღვრულ ტენდენციებს.

„საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია" არის ქვეყნის ძირითადი სამხედრო-პოლიტიკური დოკუმენტი, რომელიც „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა" და საფრთხეების შეფასების დოკუმენტის გათვალისწინებით, მიმოიხილავს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების გარემოს, ქვეყნის ეროვნულ ინტერესებსა და უსაფრთხოების პოლიტიკის ძირითად პრიორიტეტებს. დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მიზნებს, ამოცანებსა და შესაძლებლობებს.

2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად შეცვლილმა უსაფრთხოების გარემომ გამოიწვია არსებული თავდაცვის დაგეგმვის სტრატეგიული დონის დოკუმენტების გადახედვის საჭიროება. ამ მიზნით, საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს კოორდინაციით, ინიცირებულ იქნა უსაფრთხოების მიმოხილვის პროცესი, რომლის ფარგლებშიც მოხდა „საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის", „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2007-2009 წწ დოკუმენტის" და „თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვა 2007" დოკუმენტის განახლება. „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის" დოკუმენტის შემუშავება წარმოადგენს ამ პროცესის შემადგენელ ნაწილს. „საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიაში" წარმოდგენილი სამხედრო მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით, თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის დოკუმენტი განსაზღვრავს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსა და საქართველოს შეიარაღებული ძალების განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებებს, უსაფრთხოების შეცვლილი გარემოს შედეგად გაჩენილი ახალი საჭიროებების შესაბამისად.

„საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია" ეფუძნება საქართველოს კონსტიტუციას, საქართველოს საერთაშორისო შეთანხმებებსა და ხელშეკრულებებს, საქართველოს კანონმდებლობას და ასახავს საქართველოს კანონმდებლობით აღიარებულ ღირებულებებს, ვალდებულებებსა და ნორმებს.

„საქართველოს ეროვნულ სამხედრო სტრატეგიას" ამტკიცებს საქართველოს მთავრობა. „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის" შემუშავება/განახლება არის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ვალდებულება. დოკუმენტის განახლება ხდება საჭიროებისამებრ, ქვეყნის უსაფრთხოების გარემოს არსებითი ცვლილებების და/ან თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორში პოლიტიკის, პრიორიტეტებისა თუ ტენდენციების შესაბამისად, შეიარაღებული ძალების განვითარების ახალი მიმართულებების განსაზღვრის მიზნით.

1. ეროვნული უსაფრთხოების კონტექსტი

საქართველოს უსაფრთხოების გარემო კომპლექსური და დინამიკურია. ჩვენი ქვეყანა კვლავ მნიშვნელოვანი საფრთხეებისა და გამოწვევების წინაშე დგას, რაც უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია ქვეყნის ტერიტორიის ოკუპაციით და კონფლიქტის შესაძლო ესკალაციის რისკით. აღნიშნული ხელყოფს არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რეგიონის უსაფრთხოებას და აფერხებს ქვეყნის სტაბილურ განვითარებას. აქედან გამომდინარე, საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის უმთავრეს ამოცანად რჩება ოკუპირებული ტერიტორიების დეოკუპაცია და ტერიტორიული მთლიანობის მშვიდობიანი გზით აღდგენა. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ბოლო პერიოდში დემოკრატიის კონსოლიდაციისკენ გადადგმული ნაბიჯების შემდგომ განმტკიცებასა და ქვეყნის განვითარების დასავლური კურსის გაგრძელებას.

საქართველო ახორციელებს კეთილმეზობლურ პოლიტიკას, რომლის ფარგლებში დიდი ყურადღება ეთმობა რეგიონულ და საერთაშორისო დონეზე მშვიდობისა და სტაბილურობის განმტკიცებაში საკუთარი წვლილის შეტანას. საქართველო წარმოადგენს „უსაფრთხოების მხარდამჭერი საერთაშორისო ძალების“ (ISAF) ოპერაციის ყველაზე მსხვილ კონტრიბუტორ ქვეყანას ჩრდილოატლანტიკური ალიანსის არაწევრი/პარტნიორი ქვეყნებიდან.

ამასთან, ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანება ქვეყნის საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ზემოხსენებული პოლიტიკური მიზნების მხარდასაჭერად, საქართველოს შეიარაღებული ძალები კვლავ განაგრძობს ორმხრივ და მრავალმხრივ თანამშრომლობას, მრავალეროვნულ წვრთნებსა და საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობას.

„საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციისა“ და „საქართველოს საფრთხეების შეფასების 2013-2016 წწ დოკუმენტზე“ დაყრდნობით, „საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგია“ ითვალისწინებს შემდეგ ძირითად საფრთხეებსა და რისკებს:

- **საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია** - რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ხელყოფს საქართველოს სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას და დესტაბილიზაციის მთავარ წყაროს წარმოადგენს. ოკუპირებულ ტერიტორიებზე საერთაშორისო სამშვიდობო ძალების არარსებობა და აღნიშნული ტერიტორიების მილიტარიზაცია ზრდის პროვოკაციებისა და სამხედრო აგრესიის განახლების რისკებს.

- **რეგიონული არასტაბილურობა** - კავკასიაში არსებული არასტაბილური ვითარება უარყოფით გავლენას ახდენს რეგიონის უსაფრთხოებაზე. საქართველოს ტერიტორიაზე კონფლიქტების შესაძლო გადმოდინება და კონფლიქტის ზონებს გარეთ გამოტანილი შესაძლო ჰუმანიტარული კრიზისი საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ კონფლიქტებში უშუალოდ ჩართული ქვეყნების, არამედ, საქართველოს უსაფრთხოებასაც.

- **ტრანსნაციონალური საფრთხეები** - გლობალიზაციასთან ერთად იზრდება საერთაშორისო დანაშაულის გავლენა და მოქმედების არეალი. საერთაშორისო ტერორიზმი და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაული საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ცალკეული ქვეყნების, არამედ, გლობალურ უსაფრთხოებასაც. საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია ხელსაყრელ გარემოს ქმნის საერთაშორისო ტერორიზმისა და

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულისათვის. ამასთან, არსებობს ოკუპირებული ტერიტორიების ისეთი სახის უკანონო საქმიანობისათვის გამოყენების საფრთხე, როგორებიცაა: კონტრაბანდა, ტრეფიკინგი და ნარკოტიკებით, იარაღითა და მასობრივი განადგურების იარაღის კომპონენტებით ვაჭრობა.

- **კიბერ საფრთხეები** - კიბერ საფრთხეები თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. 2008 წლის აგვისტოს ომის დროს საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებულმა კიბერ შეტევებმა ნათლად წარმოაჩინა საქართველოში კიბერ უსაფრთხოების ხარისხის გაუმჯობესების საჭიროება.

- **ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები** - საქართველო მდებარეობს სეისმურად აქტიურ ზონაში, ხშირია მეწყერები, წყალდიდობები და სხვა ბუნებრივი კატასტროფები, რომელთა შედეგებიც უარყოფითად აისახება მოქალაქეების უსაფრთხოებასა და კეთილდღეობაზე. არსებობს ტექნოგენური კატასტროფების საფრთხეც, რომლებსაც ასევე შეუძლიათ მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენონ ქვეყანას.

2. ეროვნული თავდაცვის პოლიტიკა და პრინციპები

ქვეყნის უსაფრთხოების პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს ეროვნული თავდაცვის პოლიტიკა, რომელიც თავის მხრივ, მხარს უჭერს ქვეყნის დამოუკიდებლობას, სუვერენიტეტსა და ტერიტორიულ მთლიანობას, საქართველოს ევროატლანტიკურ სივრცეში ინტეგრაციას, რეგიონული და გლობალური სტაბილურობის განმტკიცებას.

თავდაცვის პოლიტიკა განსაზღვრავს საქართველოს შეიარაღებული ძალების წინაშე დასმულ მიზნებსა და ამოცანებს. ის ასევე ითვალისწინებს თავდაცვის სტრატეგიული მიმოხილვის პროცესის ფარგლებში განსაზღვრული თავდაცვის განვითარების ძირითად პრიორიტეტებსა და მიმართულებებს. ქვეყნის შეიარაღებული ძალების მართვა, მათ განვითარებაზე ზრუნვა და ამისათვის საჭირო პრიორიტეტების განსაზღვრა ეფუძნება თავდაცვის სისტემის ეფექტიანი მართვის პრინციპებს. აღნიშნულ პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს ქვეყნის თავდაცვის პოლიტიკა, თავდაცვის დაგეგმვისა და აღსრულების პროცესი.

- **დემოკრატიული კონტროლი** - საქართველოს შეირაღებული ძალების დემოკრატიული კონტროლი წარმოადგენს თავდაცვის პოლიტიკის უმთავრეს პრინციპს. შეირაღებული ძალების განვითარება და გამოყენება, შეიარაღებისა და მატერიალური საშუალებების შესყიდვა, აგრეთვე, არსებული რესურსების გამოყენება და სხვა საჭიროებების უზრუნველყოფის შესახებ გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება დემოკრატიული და სამოქალაქო კონტროლის ქვეშ.

- **არაკონფრონტაციულობა** - საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა ატარებს არაკონფრონტაციულ ხასიათს და უპირატესობას ანიჭებს კონფლიქტების მშვიდობიანი გზით დარეგულირებას. საქართველო ახორციელებს კეთილმეზობლურ პოლიტიკას და არ განიხილავს საკუთარ შეიარაღებულ ძალებს საგარეო პოლიტიკის ინსტრუმენტად. შეიარაღებული ძალების გამოყენება სრულ თანხვედრაში უნდა იყოს საერთაშორისო სამართლის პრინციპებსა და ნორმებთან.

- **გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება** - საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა ეფუძნება გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების პრინციპს, რაც გულისხმობს თავდაცვის სისტემაში „კარგი მმართველობის“ პრაქტიკის დამკვიდრებას, თავდაცვის ბიზნეს პროცესების მაქსიმალურად გამჭვირვალედ წარმართვასა და გარე ექსპერტიზის ეფექტიანად გამოყენებას. აღნიშნული, ასევე გულისხმობს ანგარიშვალდებულების გაზრდას პარლამენტისა და საზოგადოების წინაშე.

- **ადამიანურ კაპიტალზე ორიენტირებული მართვა** - თავდაცვის სისტემის ინსტიტუციური განვითარების უმთავრეს ქვაკუთხედს მაღალკვალიფიციური და მოტივირებული პერსონალი წარმოადგენს. აღნიშნული მიიღწევა თანასწორობის პრინციპებზე დაფუძნებული ადამიანური რესურსების მართვის ჯანსაღი სისტემის დამკვიდრებით, რაც ინსტიტუციური მეხსიერების შენარჩუნებისა და განვითარების წინაპირობაა.

- **თავდაცვის რესურსების ეკონომიურობა** - თავდაცვის დაგეგმვა და მართვა ხორციელდება შეზღუდული მატერიალური რესურსების გათვალისწინებით.

თავდაცვის გეგმების შემუშავებისა და აღსრულების პროცესი ეფუძნება პრიორიტეტების განსაზღვრას და არსებული რესურსების რაციონალურ გამოყენებას.

3. სამხედრო მიზნები, ამოცანები და შესაძლებლობები

საქართველოს შეიარაღებული ძალების სამხედრო მიზნებს წარმოადგენს:

- **შეკავებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა;**
- **რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა;**
- **ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს.**

სამხედრო მიზნების მისაღწევად საქართველოს შეიარაღებული ძალები უზრუნველყოფს შემდეგი ამოცანების შესრულებას:

- **თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება;**
- **საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და მრავალეროვნულ ფორმატში თანამშრომლობა;**
- **ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის მხარდაჭერა.**

საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ სამხედრო ამოცანების წარმატებით განხორციელება მოითხოვს, როგორც შესაბამისი რესურსების არსებობას, ასევე საბრძოლო მზადყოფნის მაღალ დონესა და მჭიდრო უწყებათაშორის თანამშრომლობას. დოკუმენტი ითვალისწინებს შეიარაღებული ძალების წინაშე მდგარი სამხედრო ამოცანების შესასრულებლად საჭირო შემდეგ სამხედრო შესაძლებლობებს:

- **ძალთა მზადყოფნა;**
- **ნატოსთან თავსებადობა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა; საერთაშორისო, რეგიონული და ორმხრივი თანამშრომლობა;**
- **უწყებათაშორისი კოორდინაცია და თანამშრომლობა.**

4. შეკავების და თავდაცვის უზრუნველყოფა

ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად, აგრეთვე საერთაშორისო ვალდებულებათა შესასრულებლად, საქართველოს ჰყავს სამხედრო ძალები, რომელთა ნაწილს ქვეყნის შეიარაღებული ძალები წარმოადგენს. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარებას მათ წინაშე დასმული მიზნების მიღწევისთვის.

შეკავების მიზანია მოწინააღმდეგის შესაძლო სამხედრო აგრესიის თავიდან აცილება ბრძოლისუნარიანი, ადეკვატურად დაკომპლექტებული, აღჭურვილი და გაწვრთნილი შეიარაღებული ძალების განვითარების გზით. ეფექტიანი შეკავება აიძულებს პოტენციურ მოწინააღმდეგეს, უარი თქვას შეიარაღებულ თავდასხმაზე, სამხედრო ოპერაციის წარუმატებლობის ან მიზნის მისაღწევად შეუსაბამო დანაკარგების გამო. შეკავება მოითხოვს შეირაღებული ძალების გამართული რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის არსებობას და ასევე, ხელისუფლების უნარს, კრიზისის ან ომის დროს, მოახდინოს ეროვნული რესურსების მობილიზება. შეკავება ასევე მოიცავს დიპლომატიის გამოყენებას კონფლიქტების თავიდან აცილებისა და შესაძლო ესკალაციის აღკვეთის მიზნით.

შეკავების წარუმატებლობის შემთხვევაში, მოწინააღმდეგის სამხედრო აგრესიის შესაჩერებლად გამოიყენება საქართველოს სამხედრო ძალები, რომელსაც მხარს უჭერენ შესაბამისი სახელმწიფო და სამოქალაქო ინსტიტუტები. მოწინააღმდეგის დამარცხება გულისხმობს არა მხოლოდ მისი შეიარაღებული ძალების დამარცხებას, არამედ, სტრატეგიული მიზნების ჩაშლას.

4.1. თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესება

შეკავებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა მოითხოვს შეიარაღებული ძალების მზადყოფნის მაღალ დონეს, კრიზისებზე სწრაფად რეაგირების შესაძლებლობების განვითარებასა და ძალთა ეფექტიან მობილიზაციას. 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომში მიღებული გამოცდილების ანალიზის საფუძველზე, საქართველოს შეიარაღებული ძალების სტრუქტურაში ხორციელდება ცვლილებები.

თავდაცვითი ოპერაციების ეფექტიანი განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია ძალთა გადანაწილება ტერიტორიული პრინციპით, მობილურობის ხარისხის ამაღლება, ცენტრალიზებული დაგეგმვა და დეცენტრალიზებული აღსრულება. ასევე, ძალთა მართვის მოქნილობის გაზრდა და არსებული რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანი გადანაწილება და გამოყენება. თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესების მიზნით, განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაბამისი პირადი შემადგენლობით, შეიარაღებით, საბრძოლო ტექნიკით, აღჭურვილობითა და საბრძოლო მასალებით უზრუნველყოფას.

4.1.1. ძალთა მზადყოფნა

სათანადოდ გაწვრთნილი ქვედანაყოფების არსებობა არის მნიშვნელოვანი წინაპირობა თავდაცვითი შესაძლებლობების გაუმჯობესებისთვის, რაც მოითხოვს ძალთა მზადყოფნის მაღალ ხარისხს. აღნიშნული ხელს შეუწყობს საფრთხეებზე ქვედანაყოფების სწრაფ, ეფექტიან და ადეკვატურ რეაგირებას. მაღალი მზადყოფნის მქონე ქვედანაყოფები შეძლებენ საბრძოლო ოპერაციათა სრული სპექტრის წარმოებას. ამგვარი ძალების ჩამოყალიბება დამოკიდებულია შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის შემდგომ პროფესიონალიზაციაზე,

ოპერატიული დაგეგმვის გაუმჯობესებასა და შეიარაღებული ძალების დოქტრინებზე მორგებულ საწვრთნელ პროცესზე ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან მჭიდრო თანამშრომლობით.

- **მართვა და კონტროლი** - სამხედრო ოპერაციების ერთიანობისა და უწყვეტობის შენარჩუნებისათვის მნიშვნელოვანია შეიარაღებული ძალების, როგორც სტაციონარული, ასევე მობილური მართვისა და კონტროლის სისტემების შემდგომი გაუმჯობესება. ყურადღება ენიჭება ოპერაციების ცენტრალიზებულ დაგეგმვასა და დეცენტრალიზებულ აღსრულებას, მუდმივმოქმედი პროცედურების ინსტიტუციონალიზაციას, საკომუნიკაციო და საინფორმაციო სისტემების მოდერნიზაციასა და ასევე საგანგებო/საომარი მდგომარეობის დროს საქართველოს შეიარაღებული ძალების მოქმედების პროცედურების გაუმჯობესებას.

- **ინსტიტუციური მშენებლობა** - უსაფრთხოების არსებული გარემოს გათვალისწინებით, აუცილებელია საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების მუდმივი გაუმჯობესება მოდერნიზაციის, პროფესიონალიზმის ამაღლების, თავდაცვის დაგეგმვისა და მართვის ეფექტური სისტემების განვითარებისა და ძალთა შესაძლებლობების მუდმივი გაუმჯობესების გზით, რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს საქართველოს თავდაცვის შესაძლებლობებს და განამტკიცებს ქვეყნის უსაფრთხოებას.

  პერსონალის ეფექტური მართვის უზრუნველყოფის მიზნით უნდა განხორციელდეს კადრების შენარჩუნების ეფექტიანი პოლიტიკა, რომელიც შეამცირებს პერსონალის გადინების რისკს. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს სამოქალაქო და სამხედრო პერსონალის პროფესიონალიზმის ამაღლება პერსონალის მართვის ეფექტიანი სისტემების ინსტიტუციონალიზაციით. აღნიშნული სისტემები საჭიროებს პროგრამებს, რომლებიც უზრუნველყოფენ პირადი შემადგენლობის მართვას სამხედრო კარიერის დაწყებიდან მის დასრულებამდე.

  ყურადღება გამახვილდება კარიერის მართვის გაუმჯობესებაზე, გამჭვირვალობასა და დამსახურებაზე დაფუძნებულ პროფესიულ ზრდაზე, აგრეთვე, სათანადო კომპენსაციებზე, ისევე როგორც შერჩევისა და დანიშვნის პროცესის გამჭვირვალობაზე, რაც ხელს შეუწყობს საქართველოს შეიარაღებული ძალების პროფესიონალიზაციას.

  საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეებზე ზრუნვა ხელს შეუწყობს მოტივაციის ამაღლებას თავდაცვის სისტემაში. აღნიშნული მოითხოვს სამოქალაქო და სამხედრო მოსამსახურეების სოციალური პირობების გაუმჯობესებას და მათ უზრუნველყოფას ხარისხიანი სამედიცინო მომსახურებით.

  საქართველოს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების განვითარება მოითხოვს სამხედრო წვრთნებისა და განათლების სისტემის გაუმჯობესებას და ისეთი შეიარაღებული ძალების შენარჩუნებას, რომელსაც შეეძლება მონაწილეობა მიიღოს სამხედრო ოპერაციების სრულ სპექტრში. განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება დავით აღმაშენებლის სახელობის საქართველოს ეროვნული თავდაცვის აკადემიის ოფიცერთა და სერჟანტთა კორპუსის პროფესიული განვითარების პროგრამებს და პარტნიორი ქვეყნების წამყვან საგანმანათლებლო ინსტიტუტებში პროფესიული სამხედრო განათლებისა და წვრთნების პროგრამებში მონაწილეობას. აღნიშნული უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების სამეთაურო რგოლის აღზრდას

და სერჟანტთა პროფესიული ბირთვის გაძლიერებას. ეს პროცესი ასევე მოითხოვს თავდაცვის დოქტრინების განვითარებასა და მიღებული გამოცდილების გაანალიზებას. კოლექტიური და ინდივიდუალური წვრთნების ეფექტურობისათვის აუცილებელია თანამედროვე სიმულაციური და საწვრთნელი ტექნოლოგიების შემდგომი განვითარება.

- **საბრძოლო შესაძლებლობები** - ეფექტიანი და ქმედითი საბრძოლო შესაძლებლობები აუცილებელია შეიარაღებული ძალების მიერ სამხედრო ამოცანების წარმატებით შესრულებისათვის. საქართველოს შეიარაღებული ძალების კომპონენტები, რომელთა ბირთვს წარმოადგენს მსუბუქი ქვეითი, ქვეითი და მექანიზირებული საშუალებები, უნდა იყვნენ შესაბამისად ორგანიზებული, პირადი შემადგენლობით დაკომპლექტებული, აღჭურვილი, გაწვრთნილი და მოტივირებული. ასევე, უნდა ჰქონდეთ სათანადო საბრძოლო მხარდაჭერისა და საბრძოლო უზრუნველყოფის შესაძლებლობები.

- **საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობები** - საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო პოტენციალის ამაღლება მოითხოვს საცეცხლე მხარდაჭერის შესაძლებლობების გაუმჯობესებას. ყურადღება უნდა გამახვილდეს თვითმავალი საარტილერიო შესაძლებლობების განვითარებაზე ცეცხლის მართვის სისტემის გაძლიერებით, ასევე მოწინააღმდეგის საცეცხლე წერტილებისა და სხვა მიზნების აღმომჩენი სისტემების დანერგვა-განვითარებით.

  საბრძოლო შესაძლებლობების მხარდასაჭერად მნიშვნელოვანია არსებული საბრძოლო-საინჟინრო აღჭურვილობის გაუმჯობესება საქართველოს შეიარაღებული ძალების მობილურობისა და კონტრმობილურობის შესაძლებლობების განსავითარებლად. ასევე, მნიშვნელოვანია ქიმიური, ბიოლოგიური, რადიაციული და ბირთვული (ქბრბ) დაცვის საშუალებების განვითარება.

  თანამედროვე საჰაერო თავდაცვისა და ჯავშანსაწინააღმდეგო სისტემებმა უნდა უზრუნველყონ მოწინააღმდეგის უპირატესობის განეიტრალება. ძალზე მნიშვნელოვანია საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო სივრცის კონტროლის შესაძლებლობების განვითარება ინფრასტრუქტურისა და შესაბამისი ტექნიკის მოდერნიზაციით.

  სამხედრო ოპერაციების წარმატებით განხორციელება მოითხოვს დაზვერვის გამართულ სისტემას, რომელიც უზრუნველყოფს ინფორმაციის დროულ მოპოვებას, სათანადო ანალიზსა და მყისიერ გავრცელებას კრიზისულ სიტუაციებზე სწრაფი რეაგირების, სახელმწიფო უსაფრთხოების განმტკიცებისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების საჭირო მონაცემებით ინფორმირების მიზნით. ამისთვის მნიშვნელოვანია სადაზვერვო მონაცემების მოპოვების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ანალიტიკური პოტენციალის განვითარება და შესაბამის უწყებებს შორის ინფორმაციის გაცვლის მექანიზმების დახვეწა.

- **საბრძოლო უზრუნველყოფის შესაძლებლობები** – ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების უმნიშვნელოვანეს საფუძველს წარმოადგენს მოქნილი ლოგისტიკური სისტემის არსებობა. ძალთა მდგრადობა უზრუნველყოფს შეიარაღებული ძალების მოქნილობას სამხედრო ოპერაციების დაგეგმვის, კოორდინაციისა და აღსრულების მხრივ სრულფასოვანი ლოგისტიკური მხარდაჭერის, სატრანსპორტო და სამედიცინო

შესაძლებლობების, საცავებისა და საწყობების შენარჩუნების უზრუნველყოფის ჩათვლით.

- აუცილებელია საბრძოლო უზრუნველყოფის შესაძლებლობების გაუმჯობესება, რაც მოიცავს ინფორმაციის მართვის თანამედროვე სისტემების გაუმჯობესებას, სამხედრო ინფრასტრუქტურის მოდერნიზაციას, საბრძოლო მხარდაჭერის სისტემებისა და საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილე ქვედანაყოფების ლოგისტიკურ უზრუნველყოფას და ასევე, მასპინძელი ქვეყნის მხარდაჭერის შესაძლებლობების განვითარებას.

- **სპეციალური ოპერაციები** - სპეციალური ოპერაციების ძალების შესაძლებლობების განვითარებასა და გაძლიერებას კრიტიკული მნიშვნელობა აქვს. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სპეციალური ოპერაციების ძალების სათანადო აღჭურვილობით უზრუნველყოფასა და წვრთნებს.

- **რეზერვისა და მობილიზაციის სისტემა** - არსებული საფრთხეების, ძალებისა და რესურსების გათვალისწინებით, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველსაყოფად საჭიროა რეზერვის და მობილიზაციის სისტემის განვითარება. სისტემამ უნდა უზრუნველყოს ქვეყნის თავდაცვისთვის საჭირო სიმტკიცე და პოტენციური აგრესიის შეკავება. რეზერვის ეფექტური სისტემის, როგორც შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი მხარდამჭერი კომპონენტის ჩამოყალიბება იქნება იმის დემონსტრირება, რომ პოტენციურ მოწინააღმდეგეს საქართველოზე თავდასხმა მოსალოდნელ სარგებელთან შედარებით გაცილებით მეტ ზიანს მიაყენებს.

  აქცენტი გაკეთდება შეიარაღებული ძალების ხელმისაწვდომი რეზერვისა და მობილიზაციის სისტემის განვითარებაზე, რაც უზრუნველყოფს სათანადოდ აღჭურვილი და გაწვრთნილი პერსონალის ჩამოყალიბებას შეიარაღებულ ძალებთან თავსებადი მართვისა და კონტროლის სისტემით, რომელსაც ექნება უნარი წარმატებით გაართვას თავი ერთიანი დაგეგმვის პროცესში დადგენილ ამოცანებს.

- **ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება** - საქართველოს შეიარაღებული ძალების მართვისა და კონტროლისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს კომუნიკაციებისა და საინფორმაციო უსაფრთხოების სისტემების ფუნქციონირების უზრუნველყოფას. თანამედროვე დაცული კომუნიკაციები უზრუნველყოფს უსაფრთხო, უწყვეტ კავშირსა და კოორდინირებულ მოქმედებას. მონაცემებისა და ინფორმაციის უსაფრთხოების დაცვა მოითხოვს კიბერ და საკომუნიკაციო უსაფრთხოების სისტემებს, რომელთა დახმარებითაც შესაძლებელია მოწინააღმდეგის მხრიდან საზიანო ქმედებების თავიდან აცილება, უარყოფითი შედეგების შემცირება და ყველა ელემენტის ფუნქციონირების უმოკლეს ვადებში აღდგენა. თავდაცვის სამინისტრომ უნდა უზრუნველყოს მონაცემთა და ინფორმაციის უსაფრთხოება თავდაცვის სფეროში და ითანამშრომლოს სხვა შესაბამის უწყებებთან.

5. რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფასთან ერთად საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ მთავარ მიზანს რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების ხელშეწყობა წარმოადგენს. საქართველოს ეროვნული ინტერესები მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე გლობალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებასთან. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად განაგრძობს თავდაცვის ინსტიტუტების ტრანსფორმაციას ნატოსთან თავსებადობის გაზრდის მიზნით. ნატოს წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან თავდაცვის სფეროში თანამშრომლობა განსაკუთრებულ როლს თამაშობს საქართველოს პოლიტიკური და სამხედრო მიზნების მიღწევის კუთხით. მნიშვნელოვანია საქართველოს შეიარაღებულმა ძალებმა გააღრმაოს თანამშრომლობა, როგორც ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან, ასევე ევროკავშირთან და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან უსაფრთხოებისა და სამხედრო საკითხებში.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის უზრუნველყოფის პარალელურად შეიარაღებულ ძალებს უნდა ჰქონდეს შესაბამისი სამხედრო შესაძლებლობები საერთაშორისო ოპერაციების მხარდასაჭერად და რეგიონული სტაბილურობის განმტკიცებაში წვლილის შესატანად.

5.1. საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და მრავალეროვნულ ფორმატში თანამშრომლობა

ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება საქართველოს შეიარაღებული ძალების მნიშვნელოვანი ამოცანაა. შეიარაღებული ძალები აქტიურად არის ჩართული საერთაშორისო ღონისძიებებში. მნიშვნელოვანია აღნიშნული ჩართულობა გაღრმავდეს უსაფრთხოების საკითხებში მხარდაჭერის პროგრამების, საერთაშორისო სამხედრო სწავლებებისა და კურსების, ასევე საერთაშორისო წვრთნებში მონაწილეობისა და თავდაცვის დიპლომატიის სხვა მექანიზმების გამოყენებით. საქართველოს შეიარაღებული ძალების მიერ საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და ორმხრივ და მრავალმხრივ ფორმატში თანამშრომლობა ხელს შეუწყობს როგორც საერთაშორისო, ასევე რეგიონული უსაფრთხოების განმტკიცებას.

5.1.1. ნატოსთან თავსებადობა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება საქართველოს, როგორც ნატოს ასპირანტი ქვეყნის, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტია. ნატოს წევრობა მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის უსაფრთხოებას და ხელს შეუწყობს პოლიტიკურ და ეკონომიკურ სტაბილურობას. ნატოსთან თავსებადობის გაზრდის მიზნით, საქართველოს შეიარაღებული ძალები გააგრძელებს ორმხრივი და მრავალმხრივი თანამშრომლობის გაღრმავებას და მონაწილეობას მიიღებს ერთობლივ წვრთნებსა და მრავალეროვნულ საერთაშორისო ოპერაციებში.

საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად აგრძელებს თავდაცვის სისტემის ინსტიტუციურ აღმშენებლობას და მოდერნიზაციას არსებული მექანიზმების (წლიური ეროვნული გეგმა, დაგეგმვისა და მიმოხილვის პროცესი, ნატო-საქართველოს კომისია, ნატოს

სამხედრო კომიტეტთან საქართველოს სამხედრო თანამშრომლობის სამუშაო გეგმა, ნატოს პროგრამები და ა.შ.) ფარგლებში.

საქართველოს შეიარაღებულ ძალებს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს გლობალური უსაფრთხოებისა და სტაბილურობის განმტკიცებაში. ნატოს ეგიდით წარმოებულ საერთაშორისო ოპერაციებში მონაწილეობით საქართველო სრულად იზიარებს გლობალური გამოწვევებიდან მომდინარე საფრთხეს, იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას საერთაშორისო საზოგადოების წინაშე და ამავდროულად, იძენს მნიშვნელოვან გამოცდილებასა და ცოდნას, რაც ემსახურება ეროვნული უსაფრთხოების განმტკიცებას და ზრდის ნატოსთან თავსებადობას.

ISAF-ის მისიის დასრულების შემდეგ, საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას ჩაერთოს ოპერაციაში „გადამწყვეტი მხარდაჭერა“ და ასევე მიიღოს მონაწილეობა ნატოს საპასუხო ძალებში (NRF).

5.1.2. საერთაშორისო, რეგიონული და ორმხრივი თანამშრომლობა

დიდი მნიშვნელობა ენიჭება გაეროს ეგიდით საქართველოს სამშვიდობო და სადამკვირვებლო მისიებში მონაწილეობას, აღნიშნული მიმართულებით საქართველოს შეიარაღებული ძალები გამოთქვამს სრულ მზადყოფნას თანამშრომლობაზე.

ევროკავშირში ინტეგრაცია და აქტიური სამეზობლო პოლიტიკის წარმოება საქართველოს საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტია. ევროკავშირის კრიზისების მართვის ოპერაციებში საქართველოს მონაწილეობის თაობაზე გაფორმებული ჩარჩო ხელშეკრულების ფარგლებში საქართველო გამოთქვამს მზადყოფნას მონაწილეობა მიიღოს ევროკავშირის სხვადასხვა სამშვიდობო მისიებში. ამასთანავე, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საქართველოში ევროკავშირის მონიტორინგის მისიასთან (EUMM) თანამშრომლობას.

რეგიონული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და ქვეყნის უსაფრთხოების განმტკიცების მიზნით, საქართველო წარმართავს აქტიურ სამეზობლო პოლიტიკას და დაინტერესებულია გააღრმავოს არსებული თანამშრომლობა კავკასიის და შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებთან, განსაკუთრებით, ნატოს წევრი ქვეყნებისა და სხვა მეგობარ სახელმწიფოებთან თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში.

აშშ საქართველოს სტრატეგიული პარტნიორია. საქართველოს თავდაცვის სამინისტრო აქტიურად თანამშრომლობს აშშ-ის თავდაცვის დეპარტამენტთან და მიისწრაფვის არსებული თანამშრომლობის კიდევ უფრო გაღრმავებისა და გააქტიურებისკენ „აშშ-საქართველოს სტრატეგიული პარტნიორობის ქარტიის“ ფარგლებში.

6. ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს

საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საქართველოს შეიარაღებული ძალების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს. ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების შედეგების ლიკვიდაციის მიზნით შეიარაღებულ ძალებს უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, ხელისუფლების დახმარების აღმოსაჩენად მოახდინონ არსებული რესურსების სწრაფი მობილიზაცია. განხორციელებული ძალისხმევის შედეგიანობა დამოკიდებულია სამთავრობო უწყებებს შორის ეფექტიან კოორდინაციისა და თანამშრომლობის მაღალ ხარისხზე.

6.1. ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის მხარდაჭერა

ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმა არის რეაგირების გეგმების ერთობლიობა, რომელიც ითვალისწინებს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების დროს ხელისუფლებისთვის დახმარების აღმოჩენას და ქვეყნის მოსახლეობის დაცვას. შეიარაღებული ძალების ამოცანაა ხსენებული გეგმის მხარდაჭერა და კომპეტენციის ფარგლებში უწყებათაშორისი კოორდინაციის ხელშეწყობა მატერიალურ-ტექნიკური რესურსით.

6.1.1. უწყებათაშორისი კოორდინაცია და თანამშრომლობა

შეიარაღებულმა ძალებმა ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს მხარი უნდა დაუჭიროს საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ ხელისუფლების შესაბამის მაკოორდინებელ ორგანოს კონკრეტულ მოთხოვნებს. ეროვნული რეაგირების გეგმის შესაბამისად საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბი შეიმუშავებს ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციების დროს შეიარაღებული ძალების ქვედანაყოფების მოქმედების გეგმას. ხსენებულ გეგმაში გათვალისწინებულ უნდა იქნას არსებული ძალები/საშუალებები, სხვადასხვა სამოქმედო სცენარები, ისევე როგორც ხელისუფლების მხარდასაჭერად მოქმედი ქვედანაყოფების დანიშნულება, მათი გამოყენების პრინციპები, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებთან ურთიერთქმედება და რესურსების (ადამიანური მატერიალური) ხელმისაწვდომობა.

გარდა ამისა, საგანგებო სიტუაციებზე რეაგირება მოითხოვს თანამშრომლობის პროცესში ჩართულ უწყებებსა და სამოქალაქო საზოგადოებასთან მჭიდრო თანამშრომლობას. ამგვარი ურთიერთქმედება შეამცირებს კატასტროფებზე რეაგირების დროს და გააძლიერებს უარყოფითი შედეგების აღმოფხვრის წინააღმდეგ მიმართულ ძალისხმევას.

დასკვნა

„საქართველოს ეროვნული სამხედრო სტრატეგიის“ თანახმად, საქართველოს შეიარაღებული ძალების მთავარი მიზანია პოტენციური მოწინააღმდეგის შეკავება, ხოლო საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის თავდაცვის უზრუნველყოფა. თანამედროვე, კარგად მომზადებული და სათანადოდ აღჭურვილი შეიარაღებული ძალები წარმოადგენს ქვეყნის დამოუკიდებლობის, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების ქვაკუთხედს. საქართველო გააგრძელებს შეიარაღებული ძალების შესაძლებლობების გაუმჯობესებას, რათა უზრუნველყოფილ იქნას მასზე დაკისრებული ამოცანებისა და ქვეყნის მიერ ნაკისრი საერთაშორისო ვალდებულებების წარმატებით შესრულება.

თავდაცვის სამინისტრო განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის შენარჩუნებასა და ამაღლებას. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ნატოსა და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება, მრავალეროვნულ ოპერაციებსა და წვრთნებში მონაწილეობა და თავდაცვის სფეროში ორმხრივი სამხედრო თანამშრომლობა ნატოსა და პარტნიორ ქვეყნებთან.

თავდაცვის სამინისტრო უზრუნველყოფს საქართველოს შეიარაღებული ძალების მზადყოფნას, რათა საჭიროების შემთხვევაში დროული დახმარება აღმოუჩინოს ხელისუფლების ორგანოებს. ასევე, ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს მოახდინოს საჭირო რესურსების სწრაფი მობილიზება და ხელი შეუწყოს კატასტროფების უარყოფითი შედეგების ლიკვიდაციას.

დანართი 1


ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია
რისკები, საფრთხეები და გამოწვევები
საქართველოს ტერიტორიების ოკუპაცია;
რეგიონული არასტაბილურობა;
ტრანსნაციონალური საფრთხეები;
კიბერსაფრთხეები;
ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფები
ეროვნული უსაფრთხოების პრიორიტეტები
თავდაცვისა და უსაფრთხოების სისტემის განვითარება;
ნატოსა და ევროკავშირში ინტეგრაცია;
საერთაშორისო ურთიერთობების გაძლიერება;
ეკოლოგიური უსაფრთხოების განმტკიცება
მიზნები
შეკავებისა და თავდაცვის უზრუნველყოფა
რეგიონული და საერთაშორისო უსაფრთხოების განმტკიცების ხელშეწყობა
ხელისუფლების ორგანოების მხარდაჭერა საგანგებო მდგომარეობისა და ბუნებრივი და ტექნოგენური კატასტროფების დროს
ამოცანები
თავდაცვის შესაძლებლობების გაუმჯობესება
საერთაშორისო ვალდებულებების შესრულება და მრავალეროვნულ ფორმატში თანამშრომლობა
ბუნებრივი და ტექნოგენური ხასიათის საგანგებო სიტუაციებზე ეროვნული რეაგირების გეგმის მხარდაჭერა
შესაძლებლობები
ძალთა მზადყოფნა:
- მართვა და კონტროლი;
- ინსტიტუციური მშენებლობა;
- საბრძოლო შესაძლებლობები;
- საბრძოლო მხარდაჭერის შესაძლებლობები
- საბრძოლო უზრუნველყოფის შესაძლებლობები;
- სპეციალური ოპერაციები;
- რეზერვის სისტემა;
- ინფორმაციული და კიბერ უსაფრთხოება.
- ნატოსთან თავსებადობა და უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობა;
- საერთაშორისო, რეგიონული და ორმხრივი თანამშრომლობა
უწყებათშორისი კოორდინაცია და თანამშრომლობა